KA020122819950522

# საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის
# ბრძანება

**№ 1-1/209** **11 / მაისი / 2022 წ.**

**სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ კაპიტალის ცვლილების შესახებ**

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის N70 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ 2022 წლის 10 იანვრის N01/14, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2022 წლის 8 თებერვლის N15/6332, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2022 წლის 10 მარტის N1039/07 წერილებისა და შპს „კკ ჯგუფის“ სერტიფიცირებული აუდიტორის კონსტანტინე კიკნაძისა (სერტიფიკატი ზN5/452) და სერტიფიცირებული შემფასებლის სესილი კიკნაძის (სერტიფიკატი NP-0511) 2022 წლის 4 მარტის შეფასების ანგარიშის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ კაპიტალში შეტანილ იქნეს მაღალი გამავლობის ა/მანქანა TOYOTA FORTUNER (საიდენ. ნომერი: MHFBU8FS6J0033501; გამოშვების წელი 2018 წელი), ღირებულებით 167 415 (ასსამოცდაშვიდი ათას ოთხასთხუთმეტი) ლარი.

2. პირველი პუნქტის გათვალისწინებით სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ კაპიტალი, შპს „კკ ჯგუფის“ სერტიფიცირებული აუდიტორის კონსტანტინე კიკნაძისა (სერტიფიკატი ზN5/452) და სერტიფიცირებული შემფასებლის სოფიო კიკნაძის (სერტიფიკატი NA-0834) 2022 წლის 8 აპრილის შეფასების ანგარიშის საფუძველზე განისაზღვროს 254 724 (ორას ორმოცდათოთხმეტი ათას შვიდას ოცდაოთხი) ლარის ოდენობით, ნაცვლად 87 309 (ოთხმოცდაშვიდი ათას სამას ცხრა) ლარისა, ხოლო აქციების საერთო რაოდენობა - 254 724 (ორას ორმოცდათოთხმეტი ათას შვიდას ოცდაოთხი) ცალი აქციით.

3. დაევალოს სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“ უზრუნველყოს:

ა) კაპიტალის ცვლილების ასახვა აქციათა რეესტრში;

ბ) ცვლილებების დადგენილი წესით დარეგისტრირება და რეგისტრაციისათვის საჭირო სარეგისტრაციო ხარჯების გადახდა.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

რომეო მიქაუტაძე